პროექტი „ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა“

საგანი – მოქალაქეობა

კლასი – VIII

თემა – ადგილობრივი თვითმმართველობა

რ ე ფ ლ ე ქ ს ი ა

მიზანი – მოსწავლეები სიღრმისეულად გაეცნობიან საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, მათ სახეებს, შეიტყობენ, თუ როგორ ხდება ამ ნარჩენებით ატმოსფეროს დაბინძურება ნახშირორჟანგით, რომელიც იწვევს გლობალურ დათბობას და რა დიდ საფრთხეს იგი მთელ პლანეტას. ამ საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, მოსწავლეები გაეცნობიან ასევე, თუ რა ღონისძიებას ატარებს ადგილობრივი თვითმმართველობა. საამისოდ მოსწავლეებმა დაგეგმეს ვიზიტი ადგილობრივ თვითმმართველობაში (ქალაქის მერიასა და საკრებულოში), დაწერეს ერთობლივი წერილი, სადაც მოკლედ აღწერეს მათი მისვლის მიზეზი.

შედეგი – ვიზიტის შემდეგ, მოსწავლეებმა გაიგეს, რომ გლობალური დათბობის უარყოფითი შედეგებით მთელი საზოგადოება აღშფოთებულია და ცდილობენ სხვადასხვა ღონისძიებებით შეამცირონ მისი გამომწვევი მიზეზები, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ჩართულია „წალკის მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის 5 წლიან პროგრამაში“. მოსწავლეებმა გაიგეს, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენები გარემოში კი არ იყრება უპასუხისმგებლოდ, არამედ მუნიციპალიტეტს მიაქვს ქალაქ მარნეულში, სადაც ხდება მისი გადამუშავება. ვიზიტის ამსახველი ფოტოსურათები ბავშვებმა დაურთეს პრეზენტაციას. თემაზე მუშაობისას ბავშვებმა ისწავლეს დამოუკიდებლობა, გუნდური მუშაობა, ერთმანეთის მოსაზრების მოსმენა, საუკეთესოს შეჯერება და რაც მთავარია, ისწავლეს როგორ უნდა მოაგვარონ ადგილობრივად მის თემში ან მუნიციპალიტეტში რაიმე პრობლემა

ვინაიდან ყველა ბავშვს ჰქონდა წვდომა ინტერნეტსა და კომპიუტერზე, პროექტზე მუშაობა არ გაუჭირდათ და ძალიან საინტერესოდ წარიმართა.